დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მედეა ქოქრაშვილი- ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები: ანა კვიჟინაძე-ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი

ნელი ნაოჭაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო ხვადაგიანი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ზურაბ ურიადმყოფელი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

სალომე არაბიძე- ესთეთიკური აღზრდისსაგნობრივი ექსპერტი

ზაზა მანია- საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი

ირაკლი ქობალია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნადია უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240890737

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრეთის მეურნეობა
იურიდიული მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრეთის მეურნეობა
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრეთის მეურნეობა
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bretismeurneoba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 05 65 00

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 28 ივლისის ბრძანება MES 8 23 0000939232
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29 და 30 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბრეთის მეურნეობა *ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი სასირეთი*
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბრეთის მეურნეობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბრეთის მეურნეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების კითხვარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. შედგა ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა, სადაც შემუშავდა დღის წესრიგი, წარმოებისთვის დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის სია, რომელიც გადაგზავნილ იქნა ვიზიტამდე სკოლაში.

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი - თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტებიერთვებოდნენ პროცესში. სკოლა მზად იყო თანამშრომლობისათვის. ხელი შეუწყო ექსპერტებს მუშაობის პროცესში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 320	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორიN		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას პირველადი დახმარების აღმოჩენას.*	***სკოლას მიეცა*** *რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (11.10..2023წ-15.09..2024წ) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		და არსებობის შემთხვევაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ გაცემული მიწერილობის წარმოდგენა (სასირეთის დაწყებითი სკოლა) *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (11.10..2023წ-15.09..2024წ) უზრუნველყოს შენობების ბრეთი და სასირეთი) ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული)წარმოდგენა;* ***სკოლას** მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (11.10..2023წ-15.09..2024წ) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან (ბრეთის და სასირეთი)* ***სკოლას** მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (11.10..2023წ-15.09..2024წ) **სასირეთის** დაწყებით სკოლაში კანონმედბლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფა .*
ინდიკატორიN 3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს*	***სკოლას** მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (25.10..2023წ-01.09..2024წ) უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა ორივე შენობაში (იხ. შესაბამისი ინდიკატორის აღწერილობა)*
ინდიკატორი 3.6.1.1.	*ინფორმაციული-ტექნოლოგიების ინფრასტრუქტ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.*	***სკოლას** მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (25.10..2023წ-30.08..2024წ) უზრუნველყოს სასირეთის დაწყებითი სკოლის შენობაში ინტერნეტის შეყვანა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორიN3.4.1.7.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და*	*სასურველია სკოლამ შექმნას კითხვარები სკოლის ორივე შენობაში უსაფრთხოების შეფასებისთვის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	*და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს უსაფრთხოებ მექანიზმების დასახვეწად.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიაა პედაგოგთა პროფესიული ზრდით უზრუნველყოს მოსწავლეთათვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და მაღალი სტანდარტების შესაბამისი განათლება. სკოლის ხედვაა იყოს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული და აღზარდოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნებები. სკოლის საქმიანობა კი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს როგორიცაა, პასუხისმგებლობა, პატივისცემა, გუნდური მუშაობა და სხვა. წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა ქმნის შესაძლებლობას საზოგადოებისთვის, რომ სკოლა იყოს სოციო-კულტურული სივრცე. სკოლა ხელს უწყობს, მოსწავლეებს ჩართული იყვნენ სკოლის გარე აქტივობებში, მაგ: თეატრი, სპორტულ აქტივობებში ჩართვა, გასვლითი ვიზიტებით, გარემოს დასუფთავებით მშობელთა ჩართულობით და სხვა. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე იმუშავა მცირე ჯგუფმა, თუმცა იგეგმება ამ ჯგუფის გაფართოება და მაქსიმალური ჩართულობა, როგორც სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში, ასევე სკოლის საქმიანობის წარმართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას მტკიცებულების სახით, წარმოდგენილი აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც წარმოდგენილია სქემა, სკოლის ფილოსოფიის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის გაზიარების შესახებ. აღნიშნული მტკიცებულების მიხედვით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის/სამეურვეო საბჭოსთვის, ელექტრონული ფოსტით, ღია/საჯარო შეხვედრებით, სამეურვეო და პედ.საბჭოს სხდომებზე. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მისა, ხედვა და ღირებულებები სკოლის დერეფანშნია გამოკრული, თვალსაჩინო ადგილას. სკოლას უკვე აქვს, ვებ-გვერდი, რომელზეც, ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სკოლის ფილოსოფიის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განთავსება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული ადამიანების ინფორმირების მიზნით. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა, 2015 წლის 8 აგვისტოს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სახელწოდებას. ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; სტრატეგიული განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა (შემდგომში - სკოლა) მმართველობით პროცესს - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე, განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის, რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა შემუშავდება თანამონაწილეობით, სასკოლო საზოგადოების აქტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობით, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2022-29 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. გეგმა არის შვიდწლიანი და ეფეუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია პრიორიტეტები, წარმოდგენილია მისიასთან თავსებადი მიზნები და აღწერილია მიზნის შესაბამისი ამოცანები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2022-29 წლის სტრატეგიული განვითარებისა და 2022-23 სასწავლო წლის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. როგორც გეგმაშია წარმოდგენილი, სკოლამ გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. გარდა ამისა, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისათვის გამოყო 5 ძირითადი მიმართულება. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2022-23 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 5 ძირითადი მიმართულებას. ესენია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. გეგმაში აღწერილია ამოცანების შესრულების შესაბამისი აქტივობები, მითითებულია რეალისტური ვადები და თითოეულ აქტივობისთვის გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. გეგმა რეალისტურია და უზრუნველყოფს 2022-29 წლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა, მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორცილებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. მონიტორინგის პროცესში სამუშაო ჯგუფი აგროვებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებულ მონაცემებს, რის შემდეგაც აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს და შემდგომი რეაგირებისთვის განსაზღვრავს საჭიროებასს. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში შევიდეს ცვლილებაც.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში სქემის სახით წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. მათ შორის ერთ-ერთი კომპონენტი, სწორედ გეგმების განხორციელების საჯაროობაა. მეთოდოლოგიის მიხედვით, გეგმის განხორციელების შედეგები, რომელიც ანგარიშის სახით იტვირთება დრაივზე და სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. მონიტორინგის პროცესში მიღებულ მონაცემებს/შედეგებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბრეთის მეურნეობის სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის სქემა (ორგანიგრამა) რომელზეც ჩანს ორგანიზაციული სტრუქტურა, პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულებების განაწილება სკოლის სტრუქტურებს შორის. სტრუქტურული დიაგრამა შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურას. წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-11 მუხლით სკოლას განსაზღვრული აქვს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, ცალკეული სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობა, რაც შესაბამისობაშია თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებთან. კათედრის და დამრიგებლის დებულებაში ჩანს მათი საქმიანობის მიმართულებები და პასუხისმგებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას წარმოდგენილი აქვს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება დასაქმებულებს შორის, რაც ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას- სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას, განსაზღვრულია დასახული მიზნების მისაღწევი ამოცანების შესრულებაზე შესაბამისი ადამიანური რესურსები. სკოლის საშტატო განრიგის, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) არსებული მონაცემებით პერსონალის შესახებ, მათი ხელშეკრულებების ანალიზით, დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქცია მოვალეობების, პასუხისმგებლობების განაწილება, მთლიანად მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა;
ბრძანება 2-44-
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
კათედრის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებლის დებულება;
საშტატო განრიგი;
სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა emis,
პერსონალის ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძანება 2-44) ჩანს, რომ პერსონალის მართვა უკავშირდება სკოლის ძირითადი პროცესის მოსწავლეთა სწავლა- სწავლების და მათი მიღწევების გაუმჯობესებას. სკოლაში პერსონალის მართვა : შერჩევა, დანიშვნა, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან, პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება, გათავისუფლება ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებას, შიდა ნორმატიულ აქტებს- შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა(მუხლი. 27) თანამშრომელთა შერჩევა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმება , ადაპტაცია, განვითარება; პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება(განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N959,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად). **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. პრევენციული და ინტერვენციული მართვისას სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების ანალიზს, შემდეგ კადრების მოზიდვას, ან შიდა გადაადგილებას. სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სამუშაოს აღწერილობა- რა მოთხოვნებია თითოეულ პოზიციაზე, რის საფუძველზეც სკოლა აცხადებს, საჭიროების შემთხვევაში, შიდა ან ღია კონკურსს. განაცხადში ასახულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დასაქმებისთვის შერჩევის ეტაპები. (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (თავი3.მუხლი.8; მუხლი 27). სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით სკოლას შემუშავებული და უზრუნველყოფილი აქვს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ფუნქციების დელეგირების მექანიზმები. არსებობს შეცვლილი და გადანაცვლებული გაკვეთილების პრაქტიკა. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის მიზნით, სკოლის დირექტორს უფლება აქვს საჭიროებისამებრ მოითხოვოს დასაქმებულისგან ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ როგორც ზეპირად ისე წერილობით (დოკუმენტის დასკვნითი დებულებები- თანამშრომელთა მართვა, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი). **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია თითოეული პოზიციისთვის სამუშაო აღწერილობა, რაც მნიშვნელოვანია სკოლაში შესაბამისი კადრების მოზიდისთვის და დასაქმებისთვის. კადრების მოზიდვა და დასაქმება (მასწავლებლის შემთხვევაში) რეგულირდება 174/ნ ბრძანებით (2019წლის 20აგვისტო) და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, რაც შეეხება სხვა დასაქმებულ პირებს (გარდა ექიმისა) ხორციელდება დირექტორის გადაწყვეტილებით. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა მასწავლებლის აყვანის პროცედურები და შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც შესაბამისობაშია 174/ნ ბრძანებასთნ და სკოლის შიდა რეგულაციებთან. სკოლას teachersjob.ge-ზე გამოქვეყნებული აქვს ვაკანსიები, სადაც გაწერილია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მასწავლებლის შემთხვევაში. ზემოთ აღწერილი ფაქტები ადასტურებს, რომ შესაბამის პოზიციებზე კადრების დასაქმება ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. სკოლაში ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. ყველა პირადი საქმე იყო მოწესრიგებული, სამ თანამშრომელთან არ იყო წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი33 (1) -ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები ,,სქესობრივი თავისუფლებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N 463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები, უფლების ჩამორთმევის შესახებ“ , თუმცა ჰქონდათ განაცხადი შეტანილი შესაბამის ინსტიტუციაში.

ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.

4. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს 40 თანამშრომელი, თუმცა სკოლაში ამ ეტაპზე დასაქმებილია 32 ადამიანი. მათ შორის 24 მასწავლებელი, დირექტორიც ასწავლის საგანს, დამლაგებელი, დარაჯი, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, დირექტორის მოადგილე, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, სპეციალური მასწავლებელი. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილი აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამ დოკუმენტების გაანალიზებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვითაა გაფორმებული, თანამშრომელთა პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, რასაც ადასტურებს მასწავლებელთა მიღების პროცედურები, საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი, კათედრების დებულება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოს ოქმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძ.1კ-48. 30.11.2020წ). სკოლას სტრუქტურისა და პოზიციების შესაბამისად გადანაწილებული აქვს ანგარიშვალდებულებების სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, მათ შორის- დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა: ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დასაქმება, აღიარება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ყოველი ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების წინაშე მისი დამსახურებ(ებ)ის გათვალისწინებით. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია წახალისების მექანიზმები, კათედრის დებულებაში კათედრის წევრებს შორის წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
საშტატო განრიგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,
სამეურვეოს ოქმი,
მრჩეველთა საბჭოს ოქმი,
დასაქმების ვებ-გვერდი teachersjob.ge;
კათედრის დებულება,
პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები,
სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა (emis)
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის N241 დადგენილების შესაბამისად (ბრძანება N1კ-48 30.11.2020 წელი). დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა შიდა შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებლებზე დაკვირვება, განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება. მასწავლებელთა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მხარდაჭერა ასევე სამუშაო ჯგუფები, სკოლის გარედან მოწოდებული ტრენინგები. ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია, რომ სკოლის ადმინისტრაციის შეფასებას და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მონიტორინგს უწევს და აფასებს მის დაქვემდებარებაში მყოფ დასაქმებულ პირებს სამუშაო აღწერილობის შესაბამისად (მუხლი 22. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, პუნქტი1. ქვეპუნქტი1.2 ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს სკოლის ტექნიკური პერსონალის საქმიანობას; მუხლი 25. თანამშრომელთა მართვა, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი;
პუნქტი 2. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის მიზნით, სკოლის დირექტორს უფლება აქვს საჭიროებისამებრ მოითხოვოს დასაქმებულისგან ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ როგორც ზეპირად ისე წერილობით). **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, გამოკვეთილი აქვს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დასადგენად სკოლაში არსებული მექანიზმები (კათედრა, ხარისხის ჯგუფი, ურთიერთდასწრება, სამუშაო შეხვედრები, განმავითარებელი უკუკავშირები) საშუალებას იძლევა დაიგეგმოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები, სხვა შემთხვევაში გარედან შემოთავაზებული ტრენინგები საჭიროების შესაბამისად. სკოლა ჩართულია USAID-ის მიერ ორგანიზებულ ლიდერ მასწავლებელთა ტრენინგებში, სადაც ჩართულნი არიან სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები. მასწავლებლები ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებს, ონლაინ ვებინარებს, აგრეთვე ჩართულნი არიან სარაიონო და რეგიონულ მაშტაბით განხორციელებულ კონფერენციებში. პროფესიული განვითარების საფუძველი აგრეთვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიძლება იყოს სისტემაში მიმდინარე ცვლილებები (ტექნოლოგიური, საკანონმდებლო), ორგანიზაციული შედეგები (შეფასების შედეგები). განსაკუთრებულ მნიშვნელობას სკოლა ანიჭებს პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობას და 2023-2024 სასწავლო წლიდან აქტიურად დაიწყება საქმიანობა მასწავლებელთა თვითშეფასებითი აქტივობების გააქტიურებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია**

3. სკოლა მხარს უჭერს პერსონალის პროფესიულ ზრდას. წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, კათედრები, ხდება ურთიერთდასწრებები, მასწავლებლები აწვდიან ერთმანეთს უკუკავშირს, ადგენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, უზიარებენ გამოცდილებას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების რელევანტური განვითარების გზების შეთავაზება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით; რომ სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას და სკოლის განვითარებას. მასწავლებელთა კარიერული წინსვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ეტაპზე სკოლაში არის 2 წამყვანი და 22 უფროსი მასწავლებელი, ჰყავს 2 მაძიებელი მასწავლებელი, სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომელიც მოიცავს წამყვანი პედაგოგების მხრიდან მაძიებელი და უფროსი მასწავლებლების ფასილიტაციას. მასწავლებლობის მაძიებელს ენიშნება ტუტორი, რომელიც მხარს უჭერს დამწყებ კადრს და ეხმარება გზის გაკვალვაში, ასევე აფასებს მის საქმიანობასა და აძლევს რეკომენდაციებს. სკოლა ჩართულია USAID-ის პროგრამაში ლიდერი მასწავლებელი (მათემატიკა და ქართული დაქყებითი საფეხური), შექმნილია სასწავლო ჯგუფები, და ლიდერი მასწავლებლები ეხმარებიან კოლეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის გზები (მუხლი 27. თანამშრომელთა შერჩევა, დასაქმება, ადაპტაცია, განვითარება - პუნქტი 27.2) ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესის მართვისას ხდება ახალი თანამშრომლის მაქსიმალური ინფორმირება და ჩართვა სკოლის საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში; ადაპტაციის და საორიენტაციო პროცედურების მიზანია ახალი თანამშრომლისთვის სასიამოვნო, კომფორტული გარემოს შექმნა, რაც დაეხმარება სტრესის მართვაში და ახალ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში; სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კოლეგები; დირექტორის მოადგილე და კოლეგები მაქსიმალურად ხელს უწყობენ ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. სკოლა ახალი კადრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალიზაციისათვის იყენებს ისეთ ინსტრუმენტს, როგორიცაა არაფორმალური აქტივობები, კერძოდ- ექსკურსია და სხვა მსგავსი ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ, ზრუნავენ საკუთარ და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, ერთად გეგმავენ და განიხილავენ გაკვეთილებს, ამუშავებენ სიახლეებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი 27. პუნქტი 27.3 დეკლარირებულია, რომ მასწავლებლები თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე შეიმუშავებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმას; პროფესიული განვითარების მიმართულებით მასწავლებლები გადიან მიზნობრივ ტრენინგებს; სკოლის ტექპერსონალი თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა- დებულება და ბრძანება 2-44;

Emis- ბაზა;

კათედრის თავმჯდომარის ანგარიში(უცხო ენები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობების მართვა დაფუძნებულია დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სკოლა ორიენტირებულია საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს ხარისხის უზრუნველყოფის მიერ შექმნილი მექანიზმების შესაბამისად. საქმიანობას განიხილავს, როგორც მუდმივად ცვალებად პროცესს და ცვლილებებს შესაძლებლობებად. სასკოლო საზოგადოების წევრებს გაცნობიერებული აქვთ სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. დღევანდელი მდგომარეობა ათვლის წერტილია, ხარისხის უზრუნველყოფა-ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რაც პროცესების მუდმივ ანალიზს და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ციკლს მოიცავს და ციკლის შედეგად ხდება პროცესების ანალიზი, რაც შემდგომ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის საფუძველია. თუმცა, სასწავლო წლის შეჯამებამდე, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე გამოიყენება შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, რომელთა შორის განვითარების ჯაჭვი კარგად წარმოაჩენს არსებულ პრობლემებს, დადებით მხარეებსა და ასევე, გამოსასწორებელ საკითხებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუში (2023-2024წ.წ), კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება გაუმჯობესების დოკუმენტი- უზრუნველყოფს სკოლის ძირითად პროცესებს (სასწავლო), მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კათედრის დებულებით, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და მომსახურების მექანიზმებით (მოსწავლეთა ადაპტაცია, შინაგანაწესი, დასაქმებულთა ხელშეკრულებები). **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

3. შემოსული საჩივრები განიხილება სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - დისციპლინური კომიტეტის მიერ. მასწავლებელის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით დისციპლინური კომიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ და სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში მოქმედი პროცედურის შესაბამისად საჩივარი რეგისტრაციის შემდეგ, შემდგომი მოკვლევისათვის გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც განიხილავს საჩივარს და სკოლის შინაგანაწესიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით და გადაეცემა სკოლის დირექტორს, რომლიც ამ ოქმის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები დაცულია ზოგადი განათლების კანონის II თავის შესაბამისად. მოსწავლის მშობელთან და სკოლის პერსონალთან იდება ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება- მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მშობლის, პერსონალის დაცვის მექანიზმს. გარდა ამისა, მშობლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. მშობლებისთვის ასევე ხდება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესებით განსაზღვრული მექანიზმები, უფლებამოსილი ორგანოების ცხელი ხაზის ნომრები. რომელიმე უფლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარღვევის შემთხვევაში, მშობელს, მოსწავლეს თუ ნებისმიერ თანამშრომელს უფლება აქვს მიმართოს დირექტორის ან სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს და მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ხოლო სკოლა, თავის მხრივ, ვალდებულია ჩაატაროს ობიექტური და სრულყოფილი მოკვლევა დადგენილ ვადაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც პერიოდულად აქვეყნებს სკოლაში დაგეგმილ და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დახურული ფეისბუქ- ჯგუფები, ამ ჯგუფების დახმარებით ხდება მშობლებისთვის ინფორმაციების მიწოდება, გამოკითხვა და სხვა აქტივობების განხორციელება, სკოლის დირექცია აწყობს მიზნობრივ შეხედრებს მშობლებთნ სკოლაში მიმდინარე პროცესების და სიახლეების გაცნობის მიზნით, აქვე ხდება მშობელთა ინიციატივების და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც გამოაქვეყნებს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს, სიახლეებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლების მონაწილეობით სამეურვეო საბჭოში სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოში, რომელიც ითანხმებს ან ამტკიცებს სკოლისთვის მნიშვნელოვან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილებებს. სამეურვეო საბჭოში თანაბრადაა წარმოდგენილი მასწავლებლების და მშობლების რაოდენობა, ჩართულია სკოლის არჩევითი სტრუქტურული ერთეულის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართვა სკოლის მართვაში, მასწავლებლები- პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სკოლის მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლის დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წევრობის კანდიდატების არჩევა და მათი მონაწილეობა დისციპლინურ კომიტეტში მუშაობისას შესაძლო დისციპლინური გადაცდომების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს. აღნიშნული ფაქტები ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის ვებ გვერდი;

სოციალური ქსელი;

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები,

კათედრის სხდომის ოქმი;

დისციპლინური კომიტეტის ოქმები(ვიზიტის დროს)

პედაგოგიური საბჭოს ოქმები(ვიზიტის დროს)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“, სადაც (თავიI. მუხლი7.) სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია აღწერილი. სკოლა (ბრეთი, სასირეთი) მთელს პერიმეტრზე შემოსაზღვრულია ღობით. ბრეთის სკოლის შენობიდან არის ოთხი გასასვლელი, განთავსებულია სპორტული დარბაზი, სასირეთის შენობიდან ერთი გასასვლელია. სკოლას არ ჰყავს მანდატური; სკოლაში უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექცია და ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N 1კ-12.01.03.2022წ). სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სოფელ ბრეთის მეურნეობის სკოლის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა; გამოკრულია შესაბამისი უწყებების ტელეფონის ნომრები (მათ შორის 112). საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლას ჰყავს ცეცხლფარეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფელ სასირეთის შენობა ერთსართულიანია ოთხი საკლასო ოთახით დაწყებითი კლასებისთვის, უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები. სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო დაფა ინვენტარით და ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად სკოლას ჰყავს ექთანი (ექთანთან დადებული ხელშეკრულება; საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი დანართი 1.2). სკოლა ბრეთის შენობაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ექსპერტთა ვიზიტის დროს ბრეთის მეურნეობის სკოლას სოფელ სასირეთის დაწყებით სკოლაში არ ჰყავდა გამოყოფილი პირველადი დახმარებისთვის პასუხისმგებელი პირი ან ექთანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№41/ნ/01-23/ნ 2022 21მარტი) შესაბამისად (მუხლი 6. სკოლის სამედიცინო პერსონალის განაწილება პუნქტი 3. გადაუდებელი მდგომარეობის დროს, ექიმამდელი დახმარების დროული აღმოჩენის მიზნით, იმ სკოლებში, სადაც ადგილზე მუდმივად ვერ იქნება სამედიცინო პერსონალი, სკოლამ უნდა უზრუნველყოს პირველადი/გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, მომზადებული/გადამზადებული პერსონალის მიერ საჭირო მომსახურების გაწევა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოცხადებამდე. პუნქტი 4. თუ სკოლა მოიცავს ორ ან მეტ შენობას, რომლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და განთავსებულია სხვადასხვა იურიდიულ მისამართზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა შენობების განლაგება იძლევა გონივრულ ვადებში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის შესაძლებლობას, სავალდებულოა თითოეულ შენობაში დამატებით სკოლის ექიმის/სკოლის ექთნის უზრუნველყოფა. მუხლი 2. სამედიცინო მომსახურების გაწევისთვის საჭირო სივრცის ტიპები: პუნქტი 2. სკოლებისთვის, სადაც სწავლობს 50 და ნაკლები მოსწავლე, რეკომენდებულია სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, თუმცა სავალდებულოა მინიმალური მოთხოვნის სამედიცინო პუნქტის მოწყობა.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნათა დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე 2021წლის 14 დეკემბრით დათარიღებული ზედამხედველობის მიწერილობა N784 - შესრულების ვადა 2022წ. წლის 30 სექტემბერი (ბრეთის შენობისთვის), ხოლო სასირეთის შენობისთვის მიმართვა არ გაკეთებულა.

სკოლას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (არც ერთი შენობისთვის)შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული. შენობის მდგრადობის დასადგენად სკოლამ (ბრეთის შენობისთვის) მიმართა 2023 წლის 30 აგვისტოს შპს "ექსპერტიზას" ს.კ. 404431487 ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელს წერილის MES 1 23 0001048855 საფუძველზე.

არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა:

1.ერთწლიანი პერიოდი 11.10.2023წ- 15.09.2024 წ. **შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვების შესახებ;**

2.ერთწლიანი პერიოდი 11.10.2023წ- 15.09.2024 წ. **შენობების მდგრადობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად;**

3. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შეიმუშავებს, შესაბამის უწყებასთან შეათანხმებს და დაამტკიცებს 11.10.2023წ- 15.09.2024 წ. **პერიოდში;**

4. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფა 11.10.2023წ- 15.09.2024 წ. **პერიოდში;**

აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობების მდგრადობის დასკვნის მოპოვების, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დასკვნის მოპოვების; კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის უზრუნველყოფის; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების და დამტკიცების განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“, სადაც (მუხლი 8) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებზეა საუბარი. სკოლაში ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეაგირებაზე პროცესებს არეგულირებს დირექცია და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დარაჯი უზრუნველყოფს სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას შეზღუდვას სკოლის ტერიტორიაზე, სკოლა იყენებს კრიზისებზე (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბულინგზე) რეაგირების მექანიზმებს, რაც გაწერილი აქვს რეფერირების წესში (ბრძანება1კ/05 06.03.2017 წელი). სკოლა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მოქმედებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად ,,ზოგადი განათლების დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლაში არის დაყენებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, როგორც გარე, ისე შიდა პერიმეტრზე. დირექტორის კაბინეტში დგას კომპიუტერი, რომელშიც კამერების ჩანაწერების ხილვა და შენახვა ხდება. ბრძანება №06/ნ მუხლი 3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები **პუნქტი 2**. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის ან/და უფლებამოსილი პირის საშუალებით. **პუნქტი3.** სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია, ხოლო იმ სკოლაში, რომელშიც არ არის მანდატური – უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. **მუხლი 42**.სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი **პუნქტი1.** ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მანდატური/უფლებამოსილი პირი. ამ წესისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბერი ბრძანება №65/ნბრძანებისსკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად ვიდეო მონიტორინგი უნდა განახორციელოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საქმისმწამოებელი. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ვიდეოკამერების მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს საქმისმწარმოებელი, რომელიც დირექტორის 2022 წლის 1 მარტის ბრძანება N1/კ-2 არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირზე ფუნქცია- მოვალეობის დაკისრება, დელეგირება და გადაცემა. კერძოდ, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების გამოყენება და ადმინისტრირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით <u>ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი.</u>

3. სკოლა იყენებს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის (სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, დახურულ ჯგუფებში მშობელთა კომენტარები, მშობელთა კრებები, ონლაინ შეხვედრები). სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რასაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეებს, პედაგოგებს, ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, წახალისებულია განსხვავებული აზრის პატივისცემა. მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს. სკოლის ბრეთის შენობაში (დერეფნები, ბიბლიოთეკა) და სკოლის ეზოს სივრცე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის/არაფორმალური თუ ფორმალური ღონისძიებებისთვის, რაც მოსწავლეებში სოციალური ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს. სკოლაში მიუკერძოებელი, სამართლიანი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად კომფორტული გარემოა ჩამოყალიბებული. დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა.

სასირეთის შენობაში ოთხი ოთახიდან სამი ეთმობა სასწავლო პროცესს, ერთი ოთახი გამოიყენება მოსწავლეებისთვის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისთვის. მოსწავლეებისთვის არის თავისუფალი სივრცე- სკოლის დიდი ფართობის ეზო და სპორტული მოედანი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტით ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა -ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება" (ბრძ.2-44) დასტურდება, რომ სკოლა (ბრეთის შენობა) უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, ტერიტორია, სადაც ეს წესი ვრცელდება და ის პროცედურები, რომლებსაც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის ახორციელებს. სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია მეორე სართულზე იზოლირებულ საცავში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში, პირველ სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის) და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. სასირეთის შენობაში არის 2 საპირფარეშო 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისთვის **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N1კ/-06 ბრძანებით დამტკიცებული და წარმოდგენილი აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის შესახებ. განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების მე-17 მუხლით (მონაცემთა დაცვის მონიტორინგი) განსაზღვრული ვალდებულებები. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს, ხოლო, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

7. სკოლა იყენებს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის (სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, დახურულ ჯგუფებში მშობელთა კომენტარები, მშობელთა კრებები, ონლაინ შეხვედრები). სკოლა ახორციელებს ადამიანებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

რჩევა სასურველია სკოლამ შექმნას კითხვარები სკოლის ორივე შენობაში უსაფრთხოების შეფასებისთვის და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს უსაფრთხოების მექანიზმების დასახვეწად. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

Emis გაზა

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ გრძანება N 1კ-12.01.03.2022წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა მოიცავს ორსართულიან შენობას, რომელიც აშენებულია 1970 წელს და მასთან მიერთებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 8 აგვისტოს ბრძანება N400-ის შესაბამისად სოფელ სასირეთის დაწყებითი სკოლის შეერთება ბრეთის მეურნეობის სკოლასთან(ხელმოწერილი 2007 წლის 23 მარტს). სოფელ ბრეთის შენობისთვის სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საგადასახადო აღრიცხვის მოწმობა. 2020 წელს სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია ქარელის რაიონული მუნიციპალიტეტის მიერ. სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი; სამედიცინო კაბინეტი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი მოთხოვნების შესაბამისადაა აღჭურვილი. სკოლას წარმოდგენილი აქვს შენობა ნაგებობის სქემა (ტერიტორია ბრეთი) ბრეთის სკოლის შიდა და გარე სივრცე იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებები განსახორციელებლად. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება, სკოლა უზრუნველყოფილია დენით და ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო ინვენტარით კერძოდ, ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, კარადებით, სარეკრიაციო სივრცით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 4 ლეპტოპი და 9 კომპიუტერი, 1 პროექტორი. ადმინისტრაციის ოთახებში დგას 3 კომპიუტერი და 3 შავ-თეთრი და ერთი ფერადი პრინტერი. სკოლის შენობა გათვლილია დაახლოებით 320 მოსწავლეზე და გარემო არ არის ადაპტირებული- სკოლის შემოსასვლელ კიბეზე არის პანდუსი, თუმცა სკოლას არ აქვს პანდუსი/ლიფტი მეორე სართულზე ასასვლელად, რაც შეზღუდავს გადაადგილების შეზღუდვის მქონე მოსწავლის დამოუკიდებელ გადაადგილებას სკოლის სივრცეში. სკოლაში დღეის მდგომარეობით სწავლობს 117 მოსწავლე, აქედან 4 სსსმ მოსწავლე. პირველი კლასის ლიმიტი დამტკიცებულია 35 მოსწავლეზე. სკოლას (ბრეთი) აქვს უწყვეტი ინტერნეტ კავშირი, თუმცა ინტერნეტის სიხშირე დამაკმაყოფილებელია. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება გეგმიური ინვენტარიზაცია, რითაც ხდება არსებული რესურსების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩამოწერა, ცვეთის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით. სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახული აქვს ინფრასტრუქტურის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სასირეთის დაწყებითი სკოლის შესახებ: სასირეთის დაწყებითი სკოლის შენობა ერთ სართულიანია, სულ ოთხი საკლასო ოთახით. სამ საკლასო ოთახში არიან მოსწავლეები, ერთი კლას-კომპლექტში II-III კლასის სულ 8 მოსწავლე. კლასები გარემონტებულია, შენობაში არის სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისთვის. სკოლაში დაკავებულია დაწყებითი საფეხურის 4 მასწავლებელი. ეზოში არის კეთილმოწყობილი სტადიონი და სავარჯიშო დანადგარები, რითაც სარგებლობენ მოსწავლეები, სასწავლო პროცესის შემდეგ კი სოფლის მოსახლეობა. შენობას აქვს ბუნებრივ აირზე გათბობა, აქვს წყალი.**ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

2. სკოლის (ბრეთის შენობა) ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო მოსწავლეებს და მასწავლებლებს, არამედ მშობლებსაც.

სკოლაში არსებობს რეკრიაციული სივრცეები: ეზო, დერეფნები, სპორტული მოედნები (ღია მოედანი სასირეთის დაწყებით სკოლაში). ბრეთის სკოლაში დერეფანში დგას მაგიდის ჩოგბურთისთვის ინვენტარი, სკამები, რაც ჯანსაღი კომუნიკაციისთვის შესაფერის გარემოს ქმნის. საკლასო ოთახების სივრცეები საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა დაგეგმონ და წარმართონ ჯგუფური სამუშაოები, რაც ასევე მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (რეგულირდება საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). არ არის შემუშავებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეები და მასწავლებლები კომპიუტერული რესურსებით. სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა რესურსი და მედიკამენტი. ასევე, შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრული ცალკე საკლასო ოთახი, თუმცა აქვს სამივე საბუნებისმეტყველო საგნის შესაბამისი რესურსები, რასაც ინახავს კარადებში სპეციალურად დაცულ ოთახში, ოთახი ნიავდება.

ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა ორიენტირებულია შესაძლებლობის ფარგლებში შექმნას ინკლუზიური განათლების პირობები. შენობის პირველ სართულზე არის რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, შენობის შესასვლელში პანდუსი. თუმცა გადაადგილების პრობლემის მქონე მოსწავლეს (ეტლით მოსარგებლე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეზღუდული ექნება შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაინაცვლოს მეორე სართულზე, ასევე შევიდეს სპორტულ დარბაზში დამოუკიდებლად. რესურსოთახი აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო რესურსებით. სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე, სერთიფიცირებული სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. **სასირეთის** შენობაში არ არის შესასვლელი პანდუსი.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობები, მათ შორის შესაბამის უწყებასთან ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, ინკლუზიური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით (გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის ბრეთის შენობაში მეორე სართულზე, ასევე სპორტულ დარბაზში, და სასირეთის შენობასთან დამოუკიდებლად წვდომის უზრუნველყოფის მიზნით), განსაზღვრული ჰყავს ჩართული მხარეები. (დანართი3.5.1.3. წერილი ინფრასტრუქტურას). გაწერილია პერიოდი პრობლემის აღმოფხვისთვის 25.10.2023- 01.09..2024.

<u>ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

4. სკოლაში არის პოზიტიური გარემო. როგორც აღნიშნეს, სკოლაში ინტენსიურად ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი, სოციალური, კულტურული, სპორტული აქტივობები, სადაც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მსგავსი ტიპის ღონისძიებები, პროექტები სკოლის საერთო სივრცეებში დერეფნებში, სკოლის ეზოში, საკლასო ოთახებში ტარდება. სკოლა მოსწავლეებისთვის ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის აქვს სხვადასხვა რესურსი. ძირითადად გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომელსაც იყენებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, სკოლას (ბრეთი) აქვს კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერი, რომლის გამოყენებაც ხელს უწყობს კურიკულუმის განხორციელებას, თუმცა სასირეთის სკოლაში არ არის ინტერნეტი, მიუხედავად ამისა რადგან დაწყებით კლასებში ყველა მოსწავლეს ურიგდება პირადი ბუკი და მასწავლებელი გაკვეთილებს ატარებს ამ ბუკების დახმარებით. რაც შეეხება ინტერნეტს, ძირითადი პროგრამები, არ მოითხოვს ინტერნეტს: ესენია საოფისე პროგრამები, პროგრამა Paint, Scratch და ა.შ. და ისინი უკვე განთავსებულია აქვთ მოსწავლეების ბუკებში. ხოლო იმ საკითხების სწავლებისას, სადაც ინტერნეტია საჭირო (ინფორმაციის მოძიება, ელ. ფოსტის გაგზავნა) იმ დრომდე, სანამ მოხდება სკოლის უზრუნველყოფა, პედაგოგი იყენებს პირად ინტერნეტს და უზიარებს მას მოსწავლეებს.

მასწავლებელმა აგრეთვე წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს რომ სკოლის დაწყებით საფეხურზე ნამდვილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩაითვალა, რომ სკოლა აკმაყოფილებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი ორივე შენობაში (ბრეთი, სასირეთი) სასირეთის სკოლას - არ აქვს სკოლის ორივე ტერიტორიაზე ცალკე მდებარეობს საქვაბები. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები): ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სოფელ ბრეტის მეურნეობის საჯარო სკოლა, საგადასახადო აღრიცხვის მოწმობა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N400 2005 წლის 8 აგვისტო- სოფელ სასირეთის სკოლის შეერთება ბრეთის მეურნეობის სკოლასთან(ხელმოწერილი 2007 წლის 23 მარტს)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და გამოიყენება როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ. დირექტორის კაბინეტში დგას 2 (ორი) პერსონალური კომპიუტერი, აქედან ერთი არის ვიდეო სათვალთვალო კამერებისთვის განკუთვნილი. საქმის მწარმოებელს -1, ბუღალტერს-1 პერსონალური კომპიუტერი აქვთ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც ბიბლიოთეკის ოთახშია განთავსებული არის 6 კომპიუტერი და 4 ლეპტოპი. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ. ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია პროექტორი, რომელსაც ასევე აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. სკოლის ადმინისტრაციის და ბიბლოთეკის ოთახები აღჭურვილია შავ-თეთრი პრინტერებით. დირექტორის კაბინეტში დგას ფერადი პრინტერი, რომელიც გამოიყენება თვალსაჩინოებების, საინფრომაციო ბუკლეტების, პოსტერების და სხვათა შესაქმნელად. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მოსწავლეები კომპიუტერებს იყენებენ როგორც სასკოლო მასალის დამუშავებისთვის, პრეზენტაციის ან პროექტის მომზადებისთვის, ასევე სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებისთვის. პროექტორი გამოყენებულია ამავე მიზნებისთვის, ასევე, კინოჩვენებისთვის, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გაკვეთილის ნაწილის (აქტივობის) სახეა. მასწავლებლებიც ანალოგიური მიზნებისა და პროფესიული განვითარებისთვის იყენებენ სასკოლო ტექნოლოგიურ რესურსს. რაც შეეხება ადმინისტრაციას, ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენება ხდება დოკუმენტბრუნვის, ემისის ბაზის დამუშავებისას, კომუნიკაციის მიზნებისთვის, სამუშაო პროცესში, რესურსის შესაქმნელად და სხვა. სასირეთის შენობაში ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერი არ არის.

არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა, რომ ბრეთის მეურნეობის სკოლის სასირეთის დაწყებით სკოლაში 25.10. 2023წ.-30.08.2024წ პერიოდში სასირეთის სკოლა უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით.

ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.სკოლაში ყოფნისას (ბრეთის შენობა) დათვალიერდა მასწავლებლის, მოსწავლის, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები. მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის გამოყოფილია ბიბლიოთეკაში სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ, როგორც წიგნადი ფონდით, ისე კომპიუტერებით, პროექტორით და პრინტერით. მასწავლებლებს, ასევე, აქვთ სამუშაო სივრცე სამასწავლებლოში, ადმინისტრაციას კი კანცელარიაში. მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ გაკვეთილების შემდეგაც ბიბლიოთეკით და კომპიუტერებით. სასირეთის სკოლაში ინტერნეტთან წვდომა არის. ინტერნეტი ზიარდება ტელეფონის საშუალებით, პროექტორი საჭიროების შემთხვევაში მოაქვთ ბრეთის სკოლიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):*ინვენტარიზაციის დოკუმენტი*

შესაბამისობის გეგმით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ დანართი 2.(მიღება-ჩაბარების) სახით დაადასტურა სასირეთის დაწყებით სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოწყობა(პროექტორი, კომპიუტერი, პრინტერი).

ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მიმდინარეობს ელექტრონული საქმისწარმოება დოკუმენტბრუნვის სისტემა „eFlow"-ს საშუალებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 ლწის 17 აგვისტოს N 951 ბრძანების შესაბამისად). სკოლის საქმის წარმოების წესი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს შემოსული დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, იცავს დოკუმენტების ფორმას და ტიპებს, რეგისტრირდება შემოსული და გასული დოკუმენტაცია,პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესით, სკოლაში წარმოებს საკადრო და საერთო ბრძანებები, რომელთა აღრიცხვაც ხდება „საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესახებ N414 ბრძანებულებით, ხოლო შემდეგ იტვირთება ელექტრონულ ,,eflow"-ს ბაზაში და ხდება მათი ავტომატური რეგისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow, სრულყოფილი პროფილი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში--eSchool.emis.ge, office 365- Outlook, gmail, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებულია სოციალურ ქსელში სკოლის გვერდიhttps://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690 ,სადაც განთავსებულია სკოლის ცხოვრების ამსახველი ფოტოები, ვიდეოები, სკოლას აქვს მშობლებისგან წერილობითი თანხმობა. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა თვითშეფასების საფუძველზეა შემუშავებული. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის სისტემაში (emis), სკოლის ბარათზე ასახულია სკოლის მონაცემები; მონაცემთა ერთიან ბაზაში სკოლას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახული აქვს პერსონალის მონაცემები; მოსწავლეთა გადანაწილება კლასებში; საგაკვეთილო ცხრილები; საშტატო განრიგი; არჩეული სახელმძღვანელოები და ყველა შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

4. ბრეთის მეურნეობის სკოლას საქმის წარმოების წესის შესაბამისად განსაზღვრული აქვს ანგარიშგების, შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდი და პროცედურა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის საქმისწარმოების წესი,

საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება,

ელექტრონული ჟურნალი,

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,

პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,

მშობლის თანხმობა მოსწავლის ფოტო სურათების გასაჯაროებაზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომლითაც უნდა განახორციელოს საზოგადოების ინფორმირება და მასთან კომუნიკაცია. https://skolebi.emis.ge -----https://skolebi.emis.ge/schools/2431?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა გააქტიურებული გვერდი. სოციალურ ქსელში ფეისბუქში შექმნილია სკოლის გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690. აქვს შექმნილი დახურული ჯგუფები(მშობლები/ კანონიერი წარმომადგენლები და დამრიგებლები).სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს დროულად სწორი და სანდო ინფორმაციის განთავსება(ბრძანება 1კ-16 2023 წლის 25 აგვისტო) . სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის ფილოსოფია, საევაკუაციო გეგმა და სხვა განთავსებულია საინფორმაციო დაფებზე(პირველ და მეორე სართულებზე), სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის ნამდვილობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით სოციალურ ქსელში გავრცელებული და საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისია.**

3. სასკოლო საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციებზე მიღებული უკუკავშირით სკოლა ახორციელებს საკუთარი მუშაობის პერიოდულ შეფასებას და ცდილობს , რომ გამოიყენოს მათ გასაუმჯობესებლად.თუმცა თავად სკოლა აღნიშნავს, რომ ეს შეფასება არ არის სრულყოფილი, შემდგომ სკოლა გეგმავს შეფასების სისტემის სრულყოფას და სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან eschool.emis.ge ავტომატურად შევსებული (კანონმდებლობით) მასალა: სკოლის სახელწოდება, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის დირექტორის სახელი და გვარი, სკოლის ტელეფონი, მეილი, მოსწავლეთა დარჩენილი ადგილები, სსსმ მოსწავლეთა დარჩენილი ადგილები ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

5. სკოლას პორტალზე skolebi.emis.ge- აქვს საკუთარი გვერდი. ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოსწავლეთა მხადრამჭერი სერვისები და სხვა ინფორმაცია. სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირი.

შესაბამისობის გეგმით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ დაადასტურა სკოლის ვებგვერდზე
https://skolebi.emis.ge/schools/2431?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციების განთავსება 01.09.2023-15.10.2023 პერიოდის განმავლობაში.

ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სოციალური ქსელის მისამართი,

ვებ-გვერდის მისამართი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური მართვა გეგმა გაწერილი აქვს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ჩანს, რომ ყველა რესურსი ეფექტიანადაა გამოყენებული. დაფინანსება სრულად ვაუჩერზეა დამოკიდებული, დირექტორი ყოველწლიურად შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს, სადაც მუხლობრივად არის გაწერილი ყოველთვიური ხარჯები. სკოლის ბიუჯეტი მთლიანად შედგება ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტი მორგებულია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე და საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით გასცემს შრომის ანაზღაურებას, იძენს სასწავლო რესურსებს, სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებს, ფარავს კომუნალურ გადასახადებს. სკოლას განსაზღვრული აქვს 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, გამოყოფილი აქვს პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები, ყოველივე გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართულია მასწავლებლები, მშობლები, სამეურვეო საბჭო განიხილავს ბიუჯეტის პროექტს,საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ შეძლებისდაგვარად ცვლილებები. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს.სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022 წლის ბიუჯეტი და სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი წლიური ფინანსური ანგარიში (სამეურვეო საბჭოს ოქმი N11 09.12.2022 წელი). სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები, რომელიც სრულად ასახავს გაწეულ მიზნობრივ ხარჯებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოდან გაწეულ სუბსიდირებას სამედიცინო ოთახის მოსაწყობად და სხვა. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმიდან და დირექტორის ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლამ შეძლო 2022წლის ფინანსური გამოწვევების დაძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

2. სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ 2022 წლის ბრძანება N 2-29 დასტურდება სკოლის საჭიროებზე განსაზღვრული შესყიდვების გეგმის შექმნა. შეყიდვის გეგმის შესაქმნელად, სკოლა სახელმწიფო შესყიდვის განხორცილების მიზნით აწარმოებს ბაზრის კვლევებს შესასყიდი საქონლის ფასების დადგენისთვის და დებს ხელშეკრულებებს, რომელიც მომდევნო წლის 30 იანვრამდე იტვირთება შესყიდვების სამსახურის გვერდზე. ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება, სკოლის საჭიროებები, სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის კომპონენტები. სკოლის დირექტორი ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ, რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს სხდომის N11ოქმში (2022წ.09.12). სკოლას წარმოდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N11 2022წლის 9 დეკემბერი,
დირექტორის ფინანსური ანგარიში
ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ.
შეყიდვების გეგმა
ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები2022წელი
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეგულაციები, გარდა ამისა სკოლის მიერ მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და სკოლის შინაგანაწესი. დოკუმენტებში ასახულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, რომლის მიხედვითაც, მოსწავლის უფლებები დაცულია, საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი სტანდარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტებით, რომლის შესრულება სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. მოსწავლეს აქვს, აზრის გამოთქმის, რწმენის თავისუფლების, გაერთიანების, ხარისხიანი განათლები მიღების, უსაფრთხო გარემოში სწავლის. სკოლა, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, სასკოლო საზოგადოების წევრებს უზიარებს საინფორმაციო ბუკლეტს. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია გასაჩივრების მექანიზმი, რომლის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ; 1. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ; 2. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ. 3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების და კანონიერ წარმომადგენლების ინფორმირებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო რეგულაციებთან დაკავშირებით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასკოლო რეგულაციებს. ძირითადი წესების საჯაროობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გაჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეგულაციები; ხელშეკრულებები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც არის მკაფიო, გამჭვირვალე მექანიზმი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე, სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას უზრუნველყოფს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანების შესაბამისად.“ ხოლო მობილობა სკოლაში ხორციელდება მობილობის წესი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანების შესაბამისად.“ წესის მიხედვით, განსაზღვრულია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა. კერძოდ, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ მოსწავლე რეგისტრირდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის, მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს“. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლის სტატუსის შეჩერების და ჩარიცხვის ბრძანებები, რომლითაც დასტურება, რომ სკოლა იცავს აღნიშნულ წესს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც სკოლის დერეფანშია გამოკრული თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული გზით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. სკოლას უკვე აქვს ვებ-გვერდი, სადაც ეტაპობრივად განთავსდება სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლა, სასკოლო პროგრამებისა და აქტივობების შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის ფეისბუქ გვერდს. გგვერდის დათვალიერებისას, ჩანს, რომ სკოლას გვერდზე განთავსებული აქვს, ძირითადად განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც არადისკრიმინაციულია. სკოლას ფოტო-ვიდეო მასალის განთავსებასთან დაკავშირებით, რომელიც იძლევა მოსწავლეთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, აქვს თანხმობა მშობლებისგან, რომელიც დასტურდება მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი; სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს, პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლის დათვალიერებით, სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას ყველა საფეხურზე. ადაპტაციის პირობები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში. გასაუბრებაზეც სკოლის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ხელს უწყობს, ძირითადად, კლასის დამრიგებელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; პირველ რიგში ამისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური საკლასო და სასკოლო გარემო. საკლასო სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და დამრიგებლის დახმარებით მოსწავლეები ეცნობიან სკოლის შენობას, თანაკლასელებს, პედაგოგებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო გარემოში ადაპტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. მოსწავლეთა მხარდაჭერისა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. მასწავლებლები როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით აძლევენ მოსწავლეებს შეფასებას და შესაბამისი ინფორმაცია ეგზავნება მშობლებს, სხვადასხვა გზით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს შეფასების ძირითადი ამოცანები, კერძოდ, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებია:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი. ასევე, აღნიშნული გაწერილია შინაგანაწესში. დეტალურად არის წარმოდგენილი მოსწავლის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და უფლების დარჩვევის შემთხვევაში გასაჩივრების წესი. უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნულით სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლა ფორმალურ განათლებასთან ერთად, ხელს უწყობს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას და ამ მიზნით მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა აერთ-ერთი პროექტის შესახებ ინფორმაცია, თუმცა გასაუბრებისას გაცილებით ბევრი ასეთი აქტივობა დასახელდა. სკოლა მხარს უჭერს ისეთ ინიციატივებს, რომელიც უკავშირდება სკოლის გარეთ თემის განვითარებას. მაგ. სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაცია ბილიკთან ერთად განხორციელებული პროექტი, რომელსის ინიციატორებიც მოსწავლეების და სამოქალაქო განათლების პედაგოგი იყო. მათ განახორციელეს სოციალური პროექტი და დაეხმარენ მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრებ მოხუცებს, ადგილობრივ მოქალაქეებს, რომლებსაც ამის საჭიროება ჰქონდათ. მოსწავლეთა მხარდამჭერ ქმედებად განვიხილავთ, სკოლის მოსწავლეთა წახალისებას სხვადასხვა ექსკურსიაში მონაწილეობის გზით. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა, რომ მოსწავლეების თეატრში სპექტაკლებზე, ვიზიტთან და ქალაქ გარეთ ექსკურსიასთან დაკავშირებული მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კითხვარები, რომელსაც იყენებს მშობლების და მოსწავლეების გამოსაკითხად. თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღწერს, რომ თითოეული აქტივობის შემდეგ ხდება მოსწავლეებთან გასაუბრება და პროექტთან, აქტივობასთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოსაზრებების გაზიარება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი; კლასის ხელმძღვანელის ვალდებულება სასწავლო წლის განმავლობაში; სადამრიგებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მოსწავლეთათვის, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით ახორციელებს რიგ აქტივობებს. კერძოდ, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი უნივერსიტეტთან და კოლეჯთან. მემორანდუმის ფარგელებში ხშირად იგეგმება გასვლითი ვიზიტები კოლეჯში სხვადასხვა პროფესიის გაცნობის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებთ კლასის ხელმძღვანელისა და ელექტრო ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ პროფესიული კოლეჯებისა და პროგრამების შესახებ. მეთორმეტე კლასელთათვის კი ინფორმაციის მიწოდება ხდება გამოცდის თარიღებისა და სიახლეების საჯაროობის პარალელურად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას ახდენს მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში შემოსული კომენტარების საფუძველზე, თუმცა გეგმავს სრულყოს შეფასების პროცესი და მირებული შედეგები გათვალისწინოს პროცესების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებს შესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების განვითარებას. ამ მიზნით სკოლას ჰყავს კვალიფიციური სპეც.მასწავლებელი. სკოლაში არის, შესაბამისი რესურსით აღჭურვილი, რესურს ოთახი. გარემო არის ადაპტირებული, სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მოსწავლეთა ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლების დანერგვის წესს და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული პროცესებიც ამ წესის მიხედვით წარიმართება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინკლუზიური განათლების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, შემუშავებულ მექანიზმებთან ერთად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ისგ-ზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ მხარდამჭერ ღონისძიებებს სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის/ების ჩართულობა, რომელიც სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გარდა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასაც უზრუნველყოფენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდ. გეგმა, ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება, ინკლუზიური განათლების დანერგვის სამოქმედო გეგმა.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა, მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. კერძოდ, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს, რომელიც შეთანხმებულია რაიონულ მუნიციპალიტეტთან. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების ერთი სოფლიდან, სასირეთიდან, მეორე სოფელში, ბრეთის მეურნეობაში გადაადგილებას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კონტრაქტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ქცევას ტრანსპორტში. „იმისათვის, რომ მოსწავლეთათვის სკოლის ტრანსპორტით მგზავრობა იყოს უსაფრთხო და სასიამოვნო, მათ ზუსტად უნდა დაიცვან ტრანსპორტში ქცევის წესები. სკოლის ტრანსპორტით მგზავრობა არის პრივილეგია და არა უფლება. თუ რომელიმე მოსწავლის ქცევა ზიანს მიაყენებს სხვების ჯანმრთელობას, კომფორტსა და კეთილდღეობას, იგი დაკარგავს ტრანსპორტით მგზავრობის პრივილეგიას. მოსწავლეებს ევალებათ: გამოავლინონ თავაზიანობა, სიფრთხილე, ყურადღება სხვა ადამიანებთან მიმართებაში; ზუსტად დაიცვან ტრანსპორტის მძღოლის მითითებები, რადგან მისი მთავარი საზრუნავი ბავშვების უსაფრთხოებაა; არ იქონიონ თან ისეთი ნივთები, რომლითაც შეიძლება ზიანი მიაყენონ სხვებს; არ გამოიყენონ ელექტრონული სათამაშოები, რომლებიც გამოსცემენ ხმაურს და შეაწუხებენ სხვებს; ტრანსპორტში ასვლისას არ შეაფერხონ მოძრაობა; არ ამოალაგონ ნივთები ჩანთიდან; ისაუბრონ ხმადაბლა, არ იყვირონ რათა არ შეაწუხონ სხვები და არ შეუშალონ ხელი მძღოლს; არ გადაყონ ხელი, ან თავი ტრანსპორტის ფანჯრიდან; არ დაანაგვიანონ ტრანსპორტი, არ გადაყარონ საგნები ფანჯრიდან; დაუშვებელია ტრანსპორტში ჭამა და სმა; დაუშვებელია ტრანსპორტის სკამების, ღვედების და ა.შ დაზიანება. ყველა მოსწავლე ვალდებულია იზრუნოს სისუფთავეზე ტრანსპორტში“. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტაბელი, რომლის ხელმომწერებიც სკოლის დირექტორი და მძღოლი არიან და რომლითაც დასტურდება, რომ კონკრეტულ რიცხვებში მძღოლი მეოემსახურა სკოლის მოსწავლეებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მშობელთა ხელმოწერები ტრანსპორტით მომსახურების წესებთან ერთად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტაბელი, ტრანსპორტში ქცევის წესები, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ დამატებითი მოსახურება ხორციელდება ნორმების დაცვით. აღნიშნულს უზრუნველყოფს შემუშავებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრანსპორტში დამკვიდრებული წესები, ასევე სკოლის ექთანი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამარშუტო ტაბელი.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის დაგეგმვა მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. აღნიშნულ დოკუმენტში, წარმოდგენილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განაწილებულია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის მოვალეობები. მშობლების ინფორმირების საშუალებად კი მოაზრებულია სხვადასხვა ვარიანტი, მაგალითად: კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა ან ელექტრონული ჟურნალი. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრებმა ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას. მშობლებისათვის შეიქმნა კითხვარები, რათა გაეგოთ და დაედგინათ მათი ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. სკოლას, დაწყებით საფეხურზე, აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირებით, რეფლექსიებით გამოკვეთილი გამოწვევები და მიღწევები, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის ინტერესების კურიკულუმში ასახვას, დაგეგმვის პროცესში, მასწავლებელთან ერთად, ჩართულია კათედრა და დირექცია. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შემუშავდა საგნობრივ კათედრებზე თანამშრომლობითა და დირექციის ჩართულობით, რამაც განაპირობა მათი ინტერესების ასახვა საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებში. მოსწავლის ინტერესები ასახვის მიზნით, სასწავლო თემების შერჩევის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. მშობლების ინტერესების ასახვა კი, კომპლექსური დავალებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში, მათი აქტიური მონაწილეობით გამოიხატება. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტის დროს, კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა- სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით (სოციალური ქსელი და ინდივიდუალური ბარათები). სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, ფეისბუკ გვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას სჭირდება დრო და კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; მშობლების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.5. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც საფეხურზე შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები: ტექსტების დამუშავება, აუდიო- ვიდეო რესურსების გამოყენება, სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირება (ისტი-კომპიუტერული სასწავლო თამაშები, ხელოვნება - ხატვის და ძერწვის უნარების გამოყენებით). ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება), მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; მაგალითად, მეექვსე კლასის, ინგლისური ენის კურიკულუმში, ცხოველთა/ფრინველთა სამყაროს თემის ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პოსტერის დამზადება სახელწოდებით „საქართველოს და სხვადასხვა ქვეყნების მნიშვნელოვანი ცხოველები“, რომელშიც მოსწავლეები ისაუბრებენ ცხოველებს შორის არსებულ მსგავსება განსხვავებებზე, სად და როგორ გარემოში ცხოვრობს ესა თუ ის ბინადარი. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება უცხო ენების სტანდარტის სავალდებულო თემატურ ჩარჩოს (ცხოველთა და ფრინველთა სამყარო), მეორეს მხრივ კი მოსწავლეს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, შემოქმედებით და მოქალაქეობრივ უნარებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებიდან გამომდინარეობს, რომ ფუნქციური უნარებზე ორიენტირება მასწავლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ სკოლის ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები, კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. დაწყებით საფეხურზე ელექტრონულ ჟურნალში შედის განმავითარებელი კომენტარები და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ სტრუქტურირებულ შეფასებას სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების ნაწილი შეფასდა სოლო ტაქსონომიით. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება ისე, რომ გაზომოს საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას და ქცევას. მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და აწვდის მშობელს, ინახავს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგების გათვალისწინებით მუშავდება შეფასების ინდიკატორები. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. მიუხედავად არსებული რეალობისა, სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექნის პროცესში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი აკვირდებიან მოსწავლეებს, თუ რომელი სასწავლო თემა დაძლიეს კარგად და რაში ჰქონდათ გამოწვევები, რომელი სასწავლო თემის მიმართ ჰქონდათ მოსწავლეებს მეტი დაინტერესება. მონაცემების შეჯერების შემდეგ, საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს ახალ კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები (უცხო ენები); კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (უცხო ენები); კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას; ვიზიტის დროს, მათ ისაუბრეს თუ როგორ აპირებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების განხორციელებას - მასწავლებლები სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, დაეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას დაუკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებსა და თემებს. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგ: უცხო ენებში, კომპლექსური დავალების პირობები, მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, პოსტერი, კომიქსი, ილუსტრირებული ტექსტი, სტატია კედლის გაზეთისთვის და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს. კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემოქმედებით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალების პირობები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. იგივე დაადასტურეს სკოლის პედაგოგებმა გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისეა დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, პოსტერი, კომიქსი, ილუსტრირებული ტექსტი, სტატია კედლის გაზეთისთვის და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები (უცხო ენები); კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (უცხო ენები); კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის, საგნობრივ კურიკულუმებში, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. კურიკულუმში მოცემული, კომპლექსური დავალების პირობები გულისხმობს საკვანძო შეკითხვებს, როგორც სწავლების მექანიზმებს. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მაგალითად, ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გააზიარა საკუთარი გამოცდილება, რომელიც დაეხმარა ბავშვებს განევითარებინათ ემპათიის განცდა. ბავშვები ნახულობენ ანიმაციურ ფილმებს, შემდეგ იმართება დისკუსია დასმული პრობლემის შესახებ. განხორციელებული პროექტები და სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელ, ისე განსავითარებელ შეფასებას; სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), კომპლექსური დავალების შესაფასებლად. როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს, მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის, იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის ტაქსონომიას. გარდა ამისა, იყენებენ მრავალფეროვან რუბრიკებს: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების, ჯგუფური მუშაობის, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა მიმართულებების შეფასებისთვის. კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ხორციელდება სხვადასხვა რუბრიკის გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სქემები. შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად განვითარებადია, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. კათედრაზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძველზე და ახორციელებს რეფლექსიას. სკოლა შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილავს სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ასევე წამახალისებელ ვიქტორინებს, კონკურსებს და სპორტულ ღონისძიებებს, ხოლო გარე მექანიზმად სკოლის მიერ განხილულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებში და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციაც ხდება შერჩევითი მეთოდით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კანდიდატის შესრულების შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. თუმცა სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრის პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები, ხოლო გამოცდების არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი საგამოცდო ნიმუშები. ამასთან, კლასისა თუ საფეხურის დაძლევა, ყველა გამოცდის შედეგები მტკიცება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული დოკუმენტაცია სკოლაში ინახება მატერიალური სახის ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახის სამი წლის ვადით. მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება მატერიალური ჟურნალები, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალები. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. დაგეგმილია, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასწავლო პროექტები; მოსწავლის გარემოსთან ადაპტირება; სსსმ მოსწავლისათვის საგანმანთლებლო; სერვისების მიწოდების რეგულაცია; სკოლის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690; შემაჯამებლების ანალიზი; შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სკოლის მიერ, საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი, სასწავლო პროცესის მტკიცებულებებზე დაფუძნებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი, ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კომპლექსური დავალებებით სწავლებითაა შესაძლებელი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პოგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შესაბამისობაშია კონკრეტულ კლასზე. მასწავლებელი თავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის.ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლა მრავალწლიან გამოცდილებას ატარებს. სკოლაში დასაქმებულია როგორც ძველი პედაგოგები, ასევე, ხდება კადრების განახლება. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლურ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. მასწავლებლები გეგმავენ ერთობლივ პროექტებს, კვირეულებს, გაკვეთილებს და ახდენენ ინტეგრაციას. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, ვებინარებს, სემინარებს, კონფერენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში მასწავლებლები, კათედრების მუშაობის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავებნენ საგნობრივ კურიკულუმებს. თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ემსახურება სკოლაში ახალი წევრის ინტეგრაცია. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასწავლო პროექტები; მოსწავლის გარემოსთან ადაპტირება; სსსმ მოსწავლისათვის საგანმანთლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია; სკოლის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად. კურიკულუმების შეფასება ხდება საგნობრივ კათედრებზე ჩატარებული კომპლექსური დავალების ანალიზის ხარჯზე, რაც ასახულია საგნობრივი კათედრების ოქმებში. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რომელითაც მოხდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებს საგნობრივი კათედრა, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის მოხდეს მიღებული შედეგების გათვალისწინება სასწავლო კურიკულუმების დახვეწის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნელყოფს ხარიხის კონტროლს სკოლაში. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების შემოწმებაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწყებით საფეხურზე, კათედრამ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ იქნა პრობლემები, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპლექსური დავალების განხორცილების პროცესში არასაკმარისია კომპიუტერული ტექნიკა და არ არის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ინტერნეტ კავშირი, აგრეთვე არის სასწავლო რესურსების ნაკლებობა და არსებული სოციალური ფონი. კურიკულუმის შეფასების მექანიზმი დანერგვის პროცესშია, ამიტომ არის გარკვეული ხარვეზები. სკოლის პრიორიტეტია მასში მიზნობრივად სწორი ცვლილებების შეტანა. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე სწაორად შერჩეული მეთოდოლოგიით წარმართული მონიტორინგისა და შეფასების ანალიზებში აისახება swot ანალიზით განხორციელებული კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, კითხვარით გამოვლინდება ხელისშემშლელი ფაქტორები. კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები კვლავ აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდ. ჯგუფის დებულება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებით დასტურდება, სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, თვითშეფასება, სადიაგნოსტიკო წერა, შემაჯამებელი წერა, საფეხურის გამოცდა და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. ვიზიტის, დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისთვის, ინფორმაციის წყაროებად ასევე მოიაზრებენ დამრიგებლებთან და მშობლებთან გასაუბრებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა, მოსწავლის შეფასებაში, პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა, აღნიშნეს, რომ მოსწავლეების სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში შეფებისთვის ასევე იყენებენ გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, შემაჯამებელი დავალების და სხვა შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა, თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდს, კერძოდ კითხვარებს, ინტერვიუს და გასაუბრებას. წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით; სკოლის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საკუთარი პრაქტიკის კვლევა და სამომავლოდაც გეგმავენ ამ გამოცდილების გამოყენებას, მოსწავლეთა შეფასებისთვის მონაცემების შესაგროვებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალებისა და შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ვიზიტის დროს, ცხადი გახდა, რომ სკოლა იმგვარად არის ინტეგრირებული საკუთარ სოფლის თემთან, რომ მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; სასკოლო სასწავლო გეგმა; კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ამ პროცესის შედეგად, გამოიკვეთება, მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი“. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და, როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მთლიანობაში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, წინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის კურიკულუმების ანალიზი და ხარისხის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი წარმოადგენს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურზე (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით *მუშაობენ* კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე.. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება,რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს მუსიკისა/ ხელოვნების პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლამ მოამზადა ყველა კლასში კურიკულუმის ჩარჩო და ცდილობს კომპლექსური დავალებების განხორციელებას, არის წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშები მტკიცემულებად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. ჩანს, რომ კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრებზე, რომლის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

4.2.6. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, რადგან გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო თემები შეესაბამება საფეხურის თემატურ ბლოკებს, ითვალისწინებს საბაზო საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგ: სკოლა, განათლება, ფილმები, მუსიკა, ხელოვნება და ფესტივალები, დღესასწაულები, მოზარდების პრობლემები, ბუნებრივი გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ტექნოლოგიური გამოგნებები, ჯანსაღი კვება, ჯანმრთელი ცხოვრების წესი და სხვა). სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის აგებას, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში და მოსწავლეს სწავლის პროცესის ცენტრალური ფიგურად აქცევს. კომპლექსური დავალების ფარგლებში, გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, (პრეზენტაცია, პოსტერი, ბუკლეტი, ბლოგპოსტი, სტატია სასკოლო ჟურნალისთვის, მეილი და სხვა), რომელიც მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა). კურუკულუმებში, ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც საგნობრივ შინაარსის განმტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული მაკრო ცნებების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით, გამოიყენებენ დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, კომპლექსურ დავალებას გაამარტივებენ და მოარგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მათ მისცემენ უფლებას, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას, შეარჩიონ სასურველი ფორმა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, საბაზო საფეხურის, სხვადასხვა საგნის მაგალითზე, რაც ადასტურებს, რომ სკოლა, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ სკოლაში ორი ტიპის - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება - გამოიყენება. კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები გამოიყენება ყველა საფეხურზე, კომპლექსური დავალების შესაფასებლად. მოცემულ რუბრიკებში კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებს მკვიდრ წარმოდგენებსა, სტანდარტის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის, „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი აკვირდებიან მოსწავლეებს, თუ რომელი სასწავლო თემა დაძლიეს კარგად და რაში ჰქონდათ გამოწვევები, რომელი სასწავლო თემის მიმართ ჰქონდათ მოსწავლეებს მეტი დაინტერესება. მონაცემების შეჯერების შემდეგ, საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს ახალ კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმები (უცხო ენები); კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (უცხო ენები);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.3. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას. კომპლექსური დავალების შესრულების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პრეზენტაცია, პოსტერი, ბუკლეტი, ბლოგპოსტი, სტატია სასკოლო ჟურნალისთვის, მეილი და სხვა. კათედრებს გააჩნია კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება, რის დასტურადაც ვიზიტის დროს, კათედრებმა წარმოადგინეს, მოსწავლეების მიერ, კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი ნაშრომები კედლის გაზეთისთვის, რომელშიც ილუსტრირებულია და სტატიის ფორმით აღწერილია საქართველოს ღირსშესანიშანობები და სხვა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები დიდი ინტერესითა და ხალისით იღებდნენ მონაწილეობას კომპლექსური დავალების შესრულებაში. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ არაერთი საინტერესო პროდუქტი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულ, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე, ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეებს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს. მასწავლებელთა გამოცდილება, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას. სასკოლო კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეები ასევე ავსებენ თვითშეფასების რუბრიკებს. შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტიკურობასა და სანდოობას შეეხება. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს - პრეზენტაცია, პოსტერი, ბუკლეტი, ბლოგპოსტი, სტატია სასკოლო ჟურნალისთვის, მეილი და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმები; მოსწავლის ნამუშევრები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები, საფუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. იგივე მიდგომები დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. საგნობრივი კურიკულუმებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, აგებულია ამ სიტუაციის, მისი დეტალების, ემოციების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საბაზო საფეხურის, საგნობრივი კურიკულუმები, სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, მოსწავლეს სთავაზობს ისეთ საგნობრივ კონტექსტებს, რომლებიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად: საბაზო საფეხურის, უცხოური ენების, საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია, მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული, სასწავლო კონტექსტები (სკოლა, განათლება, ფილმები, მუსიკა, ხელოვნება და ფესტივალები, დღესასწაულები, მოზარდების პრობლემები, ბუნებრივი გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ტექნოლოგიური გამოგონებები, ჯანსაღი კვება, ჯანმრთელი ცხოვრების წესი და სხვა), რაც მოსწავლის მხრიდან, შემოთავაზებული შინაარსებით დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. შერჩეული კომპლექსური დავალებები და დაგეგმილი აქტივობები, მეტწილად, მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განსავითარებელ შეფასებას; სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), კომპლექსური დავალების შესაფასებლად. როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს, აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს, მოსწავლის ჰოლისტური შეფასთვის, იყენებენ სტანდარტთან, მიმართებაში მოსწავლის მიღწევის ტაქსონომიას. გარდა ამისა, იყენებენ მრავალფეროვან რუბრიკებს: საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების, ჯგუფური მუშაობის, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა მიმართულებების შეფასებისთვის. კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ხორციელდება სხვადასხვა რუბრიკის გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა, აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში ან იცნობენ ამ რუბრიკებს. აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. კათედრები სამომავლოდ გეგმავენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნას, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლა თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს, რომ არ აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი, თუმცა, ვიზიტის დროს სკოლამ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთანავე, საგნობრივი კათედრების დონეზე, მუდმივად ხორციელდება მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, სტანდრტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღნიშნული ფაქტი, მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა და სკოლამ მტკიცებულების სახითაც წარმოადგინა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები, სხვადასხვა საგნის, მაგალითზე. მოცემულ დოკუმენტებში, გაანალიზებულია მიმართება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების თემებს, სტანდარტის სამიზნე ცნებებსა და შედეგებს შორის. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებად სკოლას, ასევე მოაზრებული აქვს სადიაგნოსტიკო წერები, საფეხურის გამოცდები, ასევე სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებზე მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;,კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები (უცხო ენები);

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სკოლის მიერ, საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი, სასწავლო პროცესის მტკიცებულებებზე დაფუძნებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი, ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კომპლექსური დავალებებით სწავლებითაა შესაძლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესი დააფუძნოს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებით წარიმართება. ამისთვის, სათანადო პირობებს ასევე ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3.სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში, მასწავლებლების მიერ საკუთარი მოსაზრებების გაცვლას. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმები; კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია; სტრატეგიული განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამოქმედებას, რომელიც მტკიცებულების სახით არის წარმოდგენილი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად).სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხარდაჭერას და დახმარებას, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესებს), აფასებს და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღნიშნეს, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3.სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან და, ვიზიტის დროს, მასწავლებელთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი, სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესებს), აფასებს და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. ხარისხის განვითარების ჯგუფისა და კათედრების დონეზე, სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგი და შეფასება, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.როგორც წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებით დასტურდება, სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით, მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, თვითშეფასება, სადიაგნოსტიკო წერა, შემაჯამებელი წერა, საფეხურის გამოცდა და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. ვიზიტის, დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისთვის, ინფორმაციის წყაროებად ასევე მოიაზრებენ დამრიგებლებთან და მშობლებთან გასაუბრებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა, მოსწავლის შეფასებაში, პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა, აღნიშნეს, რომ მოსწავლეების სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში შეფებისთვის, ასევე იყენებენ გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, შემაჯამებელი დავალების და სხვა შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა, თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდს, კერძოდ კითხვარებს, ინტერვიუს და გასაუბრებას. წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით; სკოლის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საკუთარი პრაქტიკის კვლევა და სამომავლოდაც გეგმავენ ამ გამოცდილების გამოყენებას, მოსწავლეთა შეფასებისთვის მონაცემების შესაგროვებლად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალებისა და შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსწავლის ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ვიზიტის დროს, ცხადი გახდა, რომ სკოლა იმგვარად არის ინტეგრირებული საკუთარ სოფლის თემთან, რომ მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; სასკოლო სასწავლო გეგმა; კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ამ პროცესის შედეგად, გამოიკვეთება, მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი “. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და, როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მთლიანობაში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, წინა წლის კურიკულუმების ანალიზი და ხარისხის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი წარმოადგენს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**[redacted] შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**[redacted] შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით *მუშაობენ* კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. აქვთ წარმოდგენილი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში, თუმცა ამ ეტაპზე, ისევ აგრძლებენ მუშაობას მისი დახვეწის ნაწილში. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება, რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიურებისას სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, **მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს, მაგალითად მე-10-11 კლასებში ესთეთიკური მიმართულებით, პროექტული სწავლებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმების შემუშავება მიმდინარეობს უწყვეტ პროცესად სასწავლო პროცესის პარალელურად და ეყრდნობა მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის უკუკავშირს. საგნობრივი კათედრის მასწავლებლები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და დირექტორის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საჭიროა განვითარებისადმი ჰოლისტური მიდგომა. კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით (სოციალური ქსელი და ინდივიდუალური ბარათები). სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, ფეისბუკ გვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას სჭირდება დრო და კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; მშობლების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

4.3.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ სკოლის სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები, კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. საშუალო საფეხურზე ელექტრონულ ჟურნალში შედის შეფასებები და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ სტრუქტურირებულ შეფასებას სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების ნაწილი შეფასდა სოლო ტაქსონომიით. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება ისე, რომ გაზომოს საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები. კლასის დამრიგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას და ქცევას. მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და აწვდის მშობელს, ინახავს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ გამოიყენოს შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგების გათვალისწინებით მუშავდება შეფასების ინდიკატორები. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. მიუხედავად არსებული რეალობისა, სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექნის პროცესში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; ინდგეგმა; სსსმ მოსწავლისათვის საგანმანთლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდ. ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. კათედრები საშუალო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. კომპლექსური დავალებები, რომელიც ასახულია კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. პედაგოგების გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში შემავალ კომპლექსურ დავალებებში შეიტანონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, აგრეთვე, ამ თვალსაზრისით გადაიხედოს ახალი კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასწავლო პროექტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ საგნობრივ საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმი ეყრდნობა ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რომლებსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო კითხვები. არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მაგალითად, ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გააზიარა საკუთარი გამოცდილება, რომელიც დაეხმარა ბავშვებს განევითარებინათ ემპათიის განცდა. განხორციელებული პროექტები და სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. აქტიურად იყენებს შეფასების რუბრიკებს. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლაში, საშუალო საფეხურზე შემუშავებულია, როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სქემები. შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად განვითარებადია, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლაში არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სემესტრული შედეგების საფუძვლზე და ახორციელებს რეფლექსიას. სკოლა შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილავს სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ასევე წამახალისებელ ვიქტორინებს, კონკურსებს და სპორტულ ღონისძიებებს, ხოლო გარე მექანიზმად სკოლის მიერ განხილულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებში და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციაც ხდება შერჩევითი მეთოდით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კანდიდატის შესრულების შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. თუმცა სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრის პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები, ხოლო გამოცდების არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი საგამოცდო ნიმუშები. ამასთან, კლასისა თუ საფეხურის დაძლევა, ყველა გამოცდის შედეგები მტკიცება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული დოკუმენტაცია სკოლაში ინახება მატერიალური სახის ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახის სამი წლის ვადით. მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება მატერიალური ჟურნალები, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალები. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. დაგეგმილია, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასწავლო პროექტები; მოსწავლის გარემოსთან ადაპტირება; სსსმ მოსწავლისათვის საგანმანთლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია; სკოლის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690; შემაჯამებლების ანალიზი; შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სსსმ პედაგოგებიც, მათ აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან, რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. კლასის საათი სხვადასხვა თემაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პოგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შესაბამისობაშია კონკრეტულ კლასზე. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის.ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლა მრავალწლიან გამოცდილებას ატარებს. სკოლაში დასაქმებულია როგორც ძველი პედაგოგები, ასევე, ხდება კადრების განახლება. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლურ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. მასწავლებლები გეგმავენ ერთობლივ პროექტებს, კვირეულებს, გაკვეთილებს და ახდენენ ინტეგრაციას. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, ვებინარებს, სემინარებს, კონფერენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში მასწავლებლები, კათედრების მუშაობის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავებნენ საგნობრივ კურიკულუმებს. თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ემსახურება სკოლაში ახალი წევრის ინტეგრაცია. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასწავლო პროექტები; მოსწავლის გარემოსთან ადაპტირება; სსსმ მოსწავლისათვის საგანმანთლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია; სკოლის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100024718740690

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად. კურიკულუმების შეფასება ხდება საგნობრივ კათედრებზე ჩატარებული კომპლექსური დავალების ანალიზის ხარჯზე, რაც ასახულია საგნობრივი კათედრების ოქმებში. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რომელითაც მოხდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებს საგნობრივი კათედრა, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის მოხდეს მიღებული შედეგების გათვალისწინება სასწავლო კურიკულუმების დახვეწის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნელყოფს ხარიხის კონტროლს სკოლაში. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების შემოწმებაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლამ, კათედრების ჩართულობით, სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ იქნა პრობლემები, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპლექსური დავალების განხორცილების პროცესში არასაკმარისია კომპიუტერული ტექნიკა და არ არის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ინტერნეტ კავშირი, აგრეთვე არის სასწავლო რესურსების ნაკლებობა და არსებული სოციალური ფონი. კურიკულუმის შეფასების მექანიზმი დანერგვის პროცესშია, ამიტომ არის გარკვეული ხარვეზები. სკოლის პრიორიტეტია მასში მიზნობრივად სწორი ცვლილებების შეტანა. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე სწაორად შერჩეული მეთოდოლოგიით წარმართული მონიტორინგისა და შეფასების ანალიზებში აისახება swot ანალიზით განხორციელებული კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, კითხვარით გამოვლინდება ხელისშემშლელი ფაქტორები. კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები კვლავ აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდ. ჯგუფის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლაში შეფასება მიმდინარეობს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, მაგალითად, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზს, დაკვირვბასა და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მომდევნო საწავლო წლისთვის შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელონ კვლევა, რომელიც დაეხმარება დაადგინონ, თუ როგორ მიმდინარეობს საშუალო საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება. ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფის წარმომადგენელთა მონიტორინგმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ენის კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. სახელმწიფო ენის კათედრა საკუთარი ძალებით ატარებს სადიაგნოსტიკო, საერთო-სასკოლო წერებს. კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, კომპეტენციის ამაღლებას მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიძევენ და დაამუშავებენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდ. ჯგუფის დებულება; შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარება ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს წინა წლის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტით აგრეთვე განისაზღვრება განვითარების თითოეულ ეტაპზე მონაწილე მხარეების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის თავმჯდომარე, მასწავლებელი) საქმიანობა, რათა გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი. ამასთან ერთად, სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შესამუშავებელი აქვს მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის და გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, სვოტ ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, განხორციელებული პროექტის რეფლექსიები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**
2. კათედრებმა, საშუალო საფეხურზე წარმოადგინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმები, რომლებიც ეფუძნება წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. კათედრების წევრმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების დახვეწა გაგრძელდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმები; სტრატეგიული განვითარების გეგმა-2022-2028 წწ. ახალი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: